ოქმი:**ო31. 3126090001**
თარიღი:**31/03/2026**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის
ოქმი N4

ქ. ლანჩხუთი

26. 03. 2026 წელი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვერიკო კვირკველია, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები მაია ლომთაძე და გიორგი ჩახვაძე, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გიორგი იმნაიშვილი, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზაზა წულაძე, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე გიორგი ხელაძე, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე კარლო კვიტაიშვილი, საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ია მოქია, საკრებულოს ფრაქციის ,,ხალხის ძალა“ თავმჯდომარე დარეჯან ბურჭულაძე, საკრებულოს აპარატის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო ძიძიგური, საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ნანა ბზეკალავა, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ნუნუ სულაკაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში ლაშა სარჯველაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში რუსუდან გვარჯალაძე.

მოწვეული სტუმრები: მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი შოთა ჩაგუნავა, მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსი ვარდენ კვაჭაძე, მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და ეკონომიკის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ალეკო კირვალიძე, მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი ეკატერინე ჩუბინაშვილი.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** დამსწრე საზოგადოებას მოუწოდა წუთიერი დუმილით პატივი მიეგოთ სრულიად საქართველოს კათალიკოს - პატრიარქის, უწმინდესის და უნეტარესის, ილია II ხსოვნისადმი. ამის შემდეგ, საკრებულოს თავჯდომარემ აღნიშნა, რომ საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის განსაზღვრის შემდეგ მერიიდან შემოვიდა რამდენიმე საკითხი და მიმართა საკრებულოს წევრებს, რომ აღნიშნული საკითხები დამატებოდა დღის წესრიგის პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 29 წევრი.

მომხრე საკრებულოს 29 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.

საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძემ** სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1.,,ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ვარდენ კვაჭაძე/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი გიორგი ხელაძე/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამით 2026 წელს დასაფინანსებელი პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ალეკო კირვალიძე/

4. ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების ადგილების, საფასურისა და პარკირების რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ"ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ვარდენ კვაჭაძე/

5. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს 2026 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი გიორგი ჩახვაძე/

6. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი შოთა ჩაგუნავა/

7. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის განათლების ხელშეწყობის, კულტურის ხელშეწყობის, სპორტის ხელშეწყობისა და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 აგვისტოს N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ"ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი ეკატერინე ჩუბინაშვილი/

8.სხვადასხვა საკითხები.

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით საკრებულოს წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 29 წევრი.

მომხრე საკრებულოს 29 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: ,,ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსმა, **ვარდენ კვაჭაძემ.** მან განმარტა, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-7 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო უფლებამოსილია შემოიღოს ამ კოდექსით დაწესებული ადგილობრივი გადასახადი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის მთელ ტერიტორიაზე ერთიანი განაკვეთის სახით ან/და ამ ერთეულის ტერიტორიაზე ცალკეული დარგების ან/და საქმიანობის სახეების მიხედვით, ამავე კოდექსით დადგენილი ზღვრული განაკვეთის ფარგლებში. ამავე კოდექსის 204-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად მიწაზე საგადასახადო ვალდებულება განისაზღვრება საგადასახადო წლის 1 აპრილისათვის მოქმედი განაკვეთებით ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მიზანშეწონილია საკრებულომ ყოველწლიურად განსაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქონების გადასახადის განაკვეთი. აღნიშნულიდან გამომდინარე, მერიის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების მიერ მომზადდა შესაბამისი ნორმატიული აქტის პროექტი. ამასთანავე, ამავე დადგენილების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 27 მარტის N10 დადგენილება.

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 29 წევრი.
მომხრე საკრებულოს 29 წევრი, წინააღმდეგი არცერთი
მიღებულ იქნა დადგენილება N7(26.03.2026).

დღის წესრიგის მეორე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ **გიორგი ხელაძემ.** მან თავისი გამოსვლა დაიწყო სრულიად საქართველოს კათალიკოს - პატრიარქის, უწმინდესის და უნეტრესის, ილია II-ის სიტყვებით ,,საქართველო, მიყვარხარ“. ამის შემდეგ განმარტა, რომ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის N15 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებულ დანართში „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტში“ შეტანილ იქნა შემდეგი სახის ცვლილებები:

1.რეგლამენტის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ე“ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებების მიღება“.

2.მე- 10 მუხლის მე-13 და 14 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„13. საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ საკრებულოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში“.

14.საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტასთან დაკავშირებული საკითხები საკრებულოს სხდომაზე განიხილება რიგგარეშედ“.

3.რეგლამენტის 47 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. საკრებულოს პირველი სხდომა მიმდინარეობს შემდეგი დღის წესრიგით:

ა) საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოხსენება;

ბ) დროებითი სამანდატო კომისიის არჩევა;

გ) ხმის დამთვლელი დროებითი კომისიის არჩევა;

დ) საკრებულოს თავმჯდომარის არჩევა;

ე) საკრებულოს თავმჯდომარის წარდგინებით საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის არჩევა;

ვ) საკრებულოს თავმჯდომარის წარდგინებით საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეების არჩევა;

ზ) საკრებულოს ფრაქციების დაფუძნების ცნობად მიღება;

თ) ამ რეგლამენტის შესაბამისად საკრებულოს კომისიების თავმჯდომარეების არჩევა“.

4. რეგლამენტის 47 მუხლს დაემატოს მე-5 და მე-6 პუნქტები შემდეგი რედაქციით:

„5. ფრაქციების შექმნისთანავე, ახლადარჩეული საკრებულოს პირველ სხდომაზე საკრებულოს კომისიებში პროპორციული წარმომადგენლობის კვოტებს განსაზღვრავს სამანდატო დროებითი კომისია და ამტკიცებს საკრებულო.

6. საკრებულოს თავმჯდომარის არჩევამდე საკრებულოს სხდომაზე შესაძლოა მოხდეს მხოლოდ საკრებულოს ფრაქციების დაფუძნება და რეგისტრაცია. თუ საკრებულოს თავმჯდომარის ხელახალმა კენჭისყრამაც ვერ გამოავლინა გამარჯვებული, საკრებულოს სხდომა გადაიდება, არაუმეტეს ერთი კვირით.“

5. რეგლამენტის 49-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. სამანდატო დროებითი კომისია განსაზღვრავს საკრებულოს კომისიებში პროპორციული წარმომადგენლობის კვოტებს, საკრებულოს ამცნობს საკრებულოს ფრაქციების შექმნის შესახებ.“

6. ამოღებულ იქნას რეგლამენტის 51-ე მუხლი.

7. ამოღებულ იქნას რეგლამენტის 52-ე მუხლი.

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 29 წევრი.
მომხრე საკრებულოს 29 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა დადგენილება N8(26.03.2026).

დღის წესრიგის მესამე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამით 2026 წელს დასაფინანსებელი პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და ეკონომიკის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა, **ალეკო კირვალიძემ.** მან აღნიშნა, რომ განსახილველად და დასამტკიცებლად, წარმოგიდგინილია ზემოთ აღნიშნული ფონდიდან 2026 წელს დასაფინანსებელი პროექტების ნუსხა.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 29 წევრი.
მომხრე საკრებულოს 29 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N10(26.03.2026).

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი: ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების ადგილების, საფასურისა და პარკირების რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსმა, **ვარდენ კვაჭაძემ.** მან განმარტა, რომ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „კ" ქვეპუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებას მიეკუთვნება - ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების მართვა, ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე საგზაო მოძრაობის ორგანიზება, ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების ადგილებით უზრუნველყოფა და დგომის/გაჩერების წესების რეგულირება.

ზემოაღნიშნული ნორმის საფუძველზე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ იგიგმება, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ავტოსატრანსპორტო საშუალებების საერთო და სპეციალური ფასიანი პარკირების ადგილების მოწყობა, სადაც განთავსებული იქნება სათანადო საგზაო და საინფორმაციო ნიშნები. მერია პარკირების სფეროს მართვას განახორციელებს, მის მიერ დაფუძნებული ორგანიზაციის, კერძოდ შპს ,,ლანჩხუთის სატრანსპორტო კომპანიის" (ს/ნ 433655822) მეშვეობით. მუნიციპალიტეტს, ზემოაღნიშნული საკუთარი უფლებამოსილების განხორციელების მიზნით, ესაჭიროება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დადგენილი წესი, სადაც გაწერილი იქნება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესი, ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების საერთო და სპეციალური ადგილები და მათი სარგებლობის საფასური, ზონისა და დროის მონაკვეთების მიხედვით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია საკრებულომ განიხილოს და მიიღოს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის, სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების მიერ მომზადებული ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების ადგილების, საფასურისა და პარკირების რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, რომლის მიხედვითაც ძალადაკარგულად უნდა გამოცხადდეს ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების მარეგულირებელი ნორმების - ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტომანქანების პარკირების წესების დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 მაისის №14 დადგენილება. ვინაიდან ნორმატიული აქტის მისაღებად საკრებულომ უნდა დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება, განყოფილების მიერ მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 29 წევრი.
მომხრე საკრებულოს 29 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N11(26.03.2026).

დღის წესრიგის მეხუთე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს 2026 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ, **გიორგი ჩახვაძემ.** მან აღნიშნა, რომ წარმოდგენილი გეგმის შემუშავებაში აქტიურად მონაწილეობდა საბჭოს თითოეული წევრი

და იმედი გამოთქვა, რომ ყველა ამოცანა, რაც ამ გეგმის მიხედვით არის გაწერილი, საბჭოს წევრების ჩართულობით და ადგილობრივი ხელისუფლების მხარდაჭერით, სათანადოდ შესრულდება.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 29 წევრი.
მომხრე საკრებულოს 29 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N12(26.03.2026).

დღის წესრიგის მეექვსე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი ხდომას გააცნო მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, **შოთა ჩაგუნავამ.** მისი განმარტებით, პროექტი მომზადებულია საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის მ/ წლის 6 თებერვლის GOV 5 26 00003729 რეკომენდაციის საფუძველზე და მასში გამოსწორებულია რეკომენდაციაში მითითებული ხარვეზი, კერძოდ დაკორექტირდა მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობრივი სარგო.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 29 წევრი.
მომხრე საკრებულოს 29 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N13(25.02.2026).

დღის წესრიგის მეშვიდე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის განათლების ხელშეწყობის, კულტურის ხელშეწყობის, სპორტის ხელშეწყობისა და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 აგვისტოს N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა, **ეკატერინე ჩუბინაშვილმა.** მისი განმარტებით, წარმოდგენილი პროექტით ცვლილება შედის დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართის - ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის განათლების ხელშეწყობის, კულტურის ხელშეწყობის, სპორტის ხელშეწყობისა და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესის “მე -6 მუხლის მე-2 პუნქტში, რომელიც შეეხება ჭადრაკის საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებული ინდივიდუალური მონაწილის დაჯილდოებას.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 29 წევრი.
მომხრე საკრებულოს 29 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N14(25.02.2026).

სხვადასხვა საკითხები:

საკრებულოს წევრი, **ელისო ჭიჭინაძე** შეეხო ადმინიტრაციულ ერთეულებში უსახური შენობების თემას და აღნიშნა, რომ პრობლემის შესახებ არაერთხელ უსაუბრია. მისი თქმით, ლესა-ჭინათის თემში რამდენიმე ასეთი შენობაა. საკრებულოს წევრს მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ საკითხი მოექცეს კანონის ჩარჩოებში, კერძოდ, ან გამოჩნდნენ მეპატრონეები, ან გათავისუფლდეს მიწის ნაკვეთები ასეთი შენობებისგან. მისი თხოვნაა, მიემართოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს თხოვნით, რათა მათ ბალანსზე არსებული უსახური და ავარიული შენობები მიწის ნაკვეთებიანად გადმოეცეს მუნიციპალიტეტს საკუთრებაში. საკრებულოს წევრმა ასევე აღიშნა, რომ სოფელ ლესაში ე.წ. ჩაის ფაბრიკის ტერიტორია არის სავალალო მდგომარეობაში, კერძოდ, დაინგრა ადმინისტრაციული შენობა, რაც სერიოზული საფრთხის შემცველია.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** მოუწოდა კოლეგებს, მიაწოდონ ინფორმაცია ასეთი უსახური და ავარიული შენობების შესახებ, რათა მუნიციპალიტეტის მერიამ წერილობით მიმართოს შესაბამის სამინისტროს.

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე საკრებულოს წევრთა
დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

26 მარტი 2026 წელი
12:00 საათი

№	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	ბესიკ ტაბიძე	11 58	
2	ვერიკო კვირკველია	11.58	
3	მაია ლომთაძე	11 55	
4	გიორგი ჩახვაძე	11 55	
5	გიორგი ხელაძე	11 50	
6	ალექსანდრე მახათაძე		
7	ზაზა წულაძე	11 55	
8	კარლო კვიტაიშვილი	11 55	
9	გიორგი იმნაიშვილი	11 55	
10	ია მოქია	11:50.	
11	დარეჯან ბურჭულაძე	11 50	
12	ლოლიტა ურუშაძე	11 50	
13	ვლადიმერ ნანაძე	11 50	
14	კარლო წილოსანი	ჭვეშმარიტად	
15	ნინო მშვიდობაძე	11 [illegible]	
16	ივანე ებრალიძე	11 55	
17	ირაკლი ცინცაძე	11 53	
18	სპარტაკ კვაჭაძე	11-52	
19	თენგიზ ხუხუნაიშვილი	11 50	
20	გოგი მორჩილაძე	55	
21	ელისო ჭიჭინაძე	11	
22	რევაზ კვერენჩხილაძე	11 50	
23	ირაკლი ტოროტაძე	11.50	

24	ტატო ურუშაძე	11 55	
25	გელა პატეიშვილი	11 50	
26	თენგიზ ურუშაძე	11 55	
27	ვარლამ ჩხარტიშვილი	11 55	
28	ბესიკი კვაჭანტირაძე	11 50	
29	სამსონ კვაჭაძე	11 50	
30	გოჩა ჯანაშია	11 50	
31	თორნიკე მითაიშვილი	11 38	
32	ჯუმბერ ბლაგიძე	—	—